შუა საუკუნეობრივი კლერიკალიზმის კრიტიკა ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ ანალიზის საფუძველზე

გიორგი კახელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე „შუა საუკუნეების კვლევების“ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები

ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ სონღულაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 2

შესავალი..... 3

თავი I - ჯეფრი ჩოსერის ინგლისი 9

1.1 პოლიტიკური რეალობა 9

1.2 კულტურული რეალობა..... 14

თავი II - ჯეფრი ჩოსერის კენტერებრიული მოთხრობები..... 23

2.1. ავტორის სახე: ვინ იყო ჯეფრი ჩოსერი?..... 23

2.2. ჯეფრი ჩოსერის ნაწარმოებები..... 30

2.3. „კენტერბერიული მოთხრობების ანალიზი“..... 35

თავი III. შუა საუკუნეობრივი კლერიკალიზმის კრიტიკა ჩეფრი ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებში“..... 43

3.2. ლიტერატურული მეთოდები/ხერხები, რომელსაც იყენებს ავტორი შუა საუკუნეების კლერიკალიზმის კრიტიკისას 51

დასკვნა..... 54

ბიბლიოგრაფია 56

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი „შუა საუკუნეობრივი კლერიკალიზმის კრიტიკა ჯეფრი ჩოსერის კენტერბერიული მოთხრობების საფუძველზე“ წარმოადგენს კვლევას, რომელიც ეხება შუა საუკუნეების პერიოდს, კერძოდ, XIV საუკუნის ინგლისს.

კვლევის მიზანია გაანალიზოს, თუ როგორ ასახავს ჯეფრი ჩოსერი თავის ნაწარმოებში სასულიერო პირთა ფარისევლობას, მატერიალიზმსა და მორალურ დეგრადაციას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ყველა იმ მონაკვეთზე, სადაც ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებში“ ჩანს სასულიერო პირების ფარისევლობა და მორალური სიბილწე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სოციალური და რელიგიური ფენომენების გაანალიზებას, რომლებიც გავლენას ახდენდა ავტორის კრიტიკულ დამოკიდებულებაზე კლერიკალური ინსტიტუციების მიმართ.

სამაგისტრო ნაშრომი აერთიანებს როგორც ლიტერატურულ, ასევე ისტორიულ და რელიგიურ ასპექტებს. კვლევაში გამოყენებულია ტექსტის ლიტერატურული და ისტორიულ-კულტურული ანალიზი, რაც შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს ჩოსერის პოზიცია შუა საუკუნეების რელიგიური დოგმატიზმისა და კლერიკალიზმის მიმართ. მოცემული ანალიზი წარმოადგენს არა მხოლოდ ეპოქის მატერიალურ და სულიერ ფონს, არამედ იმ კულტურულ დისკურსს, რომელშიც ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები“ ეხმიანება შუა საუკუნეების საზოგადოებრივ მორალს, ეკლესიის ავტორიტეტის კრიზისს და ინდივიდის რწმენის საკითხებს. ამგვარი მიდგომა შესაძლებელს ხდის ავტორის სარკაზმი განვიხილოთ არა როგორც უბრალო დაცინვა, არამედ როგორც მნიშვნელოვანი მოწოდება საზოგადოებას, რომელიც ითხოვს ეკლესიის ღირებულებათა გადაფასებას და რეფორმას.

Abstract

The Master's thesis titled "A Critique of Medieval Clericalism Based on an Analysis of Geoffrey Chaucer's Canterbury Tales" is the research that deals with the Medieval period, specifically 14th century England.

The aim of the study is to analyze how Geoffrey Chaucer Manages to expose the hypocrisy, materialism and moral degradation of the clergy in his work. The thesis focuses on all the sections in Geoffrey Chaucer's "Canterbury Tales" that reveal the hypocrisy and moral depravity of the clergy. Special attention is given to the analysis of the social and religious phenomena that influenced the author's critical attitude toward clerical institutions.

The Master's thesis combines both literary, historical and religious aspects. The research uses a literary and historical-cultural analysis of the text, which makes it possible to reveal Chaucer's position towards medieval religious dogmatism and clericalism. This analysis presents not only the material and spiritual background of the era, but also the cultural discourse that Chaucer's "Canterbury Tales" responds medieval public morality, the crisis of church authority and issues of individual faith. This kind of approach makes it possible to consider the author's sarcasm not merely as a mockery, but rather as an important call to society, demanding a reassessment and reform of the values of the church.